საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ: 28 16 44
ფაქსი: 92 24 09

№ 9629
„17“ 10 2008 წ.

ა-ნ ე. სვანიძე
17.10.08

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის გიორგი ღვინიაშვილისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მიმდინარე წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის გიორგი ღვინიაშვილისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 სექტემბრის № 577 განკარგულებით გიორგი ღვინიაშვილი დაინიშნა: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის და ყვარლის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულად – გუბერნატორად. შესაბამისად დადასტურდა, რომ გიორგი ღვინიაშვილმა დაიკავა საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს გიორგი ღვინიაშვილს ვადამდე უნდა შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი

შემსრულებელი: ნინო კობახიძე
ტელ: 281315